# ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## განკარგულება N07

2024 წლის 31 იანვარი
ქ. ამბროლაური

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბის რაჭას“ დირექტორის 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N01 დადგენილებით დამტკიცებული „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 143-ე მუხლის შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გადაწყვიტა:**

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი რაჭას“ დირექტორის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად (ანგარიში თან ერთვის).
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13).
3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ასლან საგანელიძე

საფეხბურთო კლუბი ,,რაჭა" მუშაობას შეუდგა 2023 წლის 1 იანვრიდან 26 თანამშრომლით.

პირველ ეტაპზე განისაზღვრა 2023 წლის სამოქმედო გეგმა, დაიგეგმა ჩასატარებელი ჩემპიონატების სავარაუდო გრაფიკები და კილომეტრაჟების გათვლა, დაიდო ხელშეკრულებები თანამშრომლებთან და სხვადასხვა მომწოდებელ ორგანიზაციებთან.

იანვრის თვეში ადმინისტრაცია შეუდგა სრულყოფილად დატვირთვით მუშაობას .

საფეხბურთო კლუბი ,,რაჭას" მომზადებული ქონდა დოკუმეტაცია რომელიც აკმაყოფილებს ადმინისტრაციულ პერსონალურ სპორტულ და ინფრასტრუქტურულ კრიტერიუმებში მოთხოვნებს რომელიც ხვდება მე-4 ბადეში და გულისხმობს კლუბის ფონდიდან დაფინანსებას 5 ათასი ლარით.რომელიც გაძლევს უფლებას შევისყიდოთ მხოლოდ სხვადასხვა სპორტული ინვენტარი და გავიაროთ ლიცენზირება და დავფაროთ სამედიცინო ხარჯი.

იანვრის თვეში კლუბმა აღნიშნული დაფინანსებით შეიძინა 2023 წლის სათამაშო სეზონისათვის სხვადასხვა სახის საჭირო სპორტული ინვენტარი და სამედიცინო მედიკამენტები.

იანვრის ბოლოს დაიწყო სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების საწვრთნელი პროცესები, თებერვალში შეირჩა ჩემპიონატში გამსვლელი ასაკობრივი გუნდები, დაკომპლექტდა ასაკობრივი ნაკრებები 2006-2007-2008, 2009 -2010 , 2011- 2012-2013 წელს დაბადებული მოზარდებით.

თებერვალში კლუბის ბალანსზე მყოფი მიკროავტობუსი შერემონტდა სათამაშო სეზონისათვის , გაიარა ტექ დათვალიერება და სეზონის დაწყების წინ მოვიყვანეთ მზადყოფნაში, რომელიც მთელი წლის მანძილზე ასრულებს გამსვლელი ოთხი გუნდის ტრანსპორტირებას სხვადასხვა ქალაქებში.

ასევე აქტიურად მიმდინარეობდა სოფელ ჭრებალოში საწვრთნელი პროცესები გაზრდილია ბავშვთა რაოდენობა. აქედან გამომდინარე, გადავწვიტეთ მეტი მოტივაციისათვის და მასობრიობისათვის საფეხბურთო კლუბ ,,რაჭას" ინდივიდუალურად გამოეყვანა გუნდი რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ რეგიონალურ ჩემპიონატში სოფელ ჭრებალოს სახელით მხოლოდ ადგილობრივი მოზარდებით დაკომპლექტებული.

პირველ ეტაპზე 10 აპრილს ჩავერთეთ იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ტურნირში U17 ასაკობრივი გუნდით 2007 და 2008 წელს დაბადებულ მოზარდებში 17 წლამდე გუნდს მთელი წლის განმავლობაში ჩატარებული აქვს 22 თამაში 11 გასვლითი და 11 საშინაო მატჩი.

U17-ის პარალელურად , U14 ასაკობრივი გუნდიც მონაწილეობს იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ტურნირში 2009-2010- წელს დაბადებულ მოზარდებით.როინ კვასხვაძის სახელობის თასზე, გუნდმა ჩაატარა 16 თამაში 8 გასვლითი და 8 საშინაო თამაში

ასევე მივიღეთ მონაწილეობას რაჭა ლეჩხუმი ქვემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ტურნირში 2010-2011-2012 წელს დაბადებული მოზარდებით. სადაც გავედით საფეხბურთო კლუბ ,,რაჭას" 2 გუნდით: ,,რაჭა ჭრებალო" და ,,რაჭა" ამბროლაური.

ამ გათამაშებაში , ორივე გუნდმა ჩაატარა 8 გასვლითი და 8 საშინაო მატჩი

ივლისის თვეში ვუმასპინძლეთ საქართველოს ჩემპიონატის ეროვნული ლიგა-2-ის წარმომადგენელს საფეხბურთო გუნდ ,,სპაერს"8 დღიან შეკრებაზე, რომელიც გაიარა აგრანო ვაჩაძის ხელოვნურსაფარიან მოედანზე, რაც ფინანსურად მომგებიანი აღმოჩნდა კლუბისათვის. ასევე ვუმასპინძლეთ ტყიბულის ,,მეშახტეს" როგორც საწვრთნელ შეკრებაზე ასევე საქართველოს ეროვნული ლიგა-3 კალენდარულ მატჩებზე .ჯამში საკუთარი შემოსავალი გაიზარდა 2400 ლარით.

2022 წლის სექტემბრის თვეში გაფორმდა მემორანდუმი საფეხბურთო კლუბ ,,რაჭას" და საფეხბურთო კლუბ თბილისის ,,დინამოს" შორის რაც გულისხმობს რომ საფეხბურთო კლუბ ,,რაჭას" 10 წლამდე ასაკის მოზარდები ჩაერთვებიან აღნიშნულ პროექტში, სადაც ვარჯიშები მიმდინარეობს დინამოს მეთოდოლოგიით.აღნიშნული პროექტი სრული დატვირთვით 2023 წლის აპრილის თვიდან ამოქმედდა, დინამოს აკადემიაში 4 დღით უფასოთ გადაემზადა ჩვენი კლუბის 2 მწვრთნელი რომლებიც ასაკობრივ გუნდებში ატარებენ საწვრთნელ პროცესებს.

დინამო თბილისის იღებს ვალდებულებას ნიჭიერი ბავშვები აღმოაჩინოს დააწინაუროს და მისცეს შანსი დინამოს აკადემიაში და სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში მოხვედრის,. ასევე იღებს ვალდებულებას ჩაატაროს საფეხბურთო ფესტივალები აღნიშნულ ასაკში და დაეხმაროს კლუბს სხვადასხვა სპორტული ინვენტარით.

მაისის თვეში ჩატარდა საფეხბურთო ფესტივალი სადაც ამბროლაური მასპინძლობდა თერჯოლის ტყიბულის ცაგერის და ონის სკოლებს, გამოვლინდა ამ ტურნირის გამარჯვებული ამბროლაურის გუნდი რომლებსაც გადაეცა გამარჯვებულის თასი მედლები და საპატიო სიგელები. აღნიშნულ ფესტივალში მონაწილეობდა 80 ბავშვი, ჩვენს მოსწავლეებს რომლებიც დინამოს მეთოდოლოგიით ვარჯიშობენ საფეხბურთო კლუბმა დინამომ გადასცა დინამოს სპორტული 32 ცალი სათამაშო ეკიპირება.

ასევე ნოემბერში ჩატარდა ანალოგიური ფესტივალი სადაც მონაწილეობდა უკვე თერჯოლის ამბროლაურის ონის ლენტეხის ცაგერის და ტყიბულის 80 ამდე მონაწილე ბავშვი.ჩვენი გუნდი აქაც გამარჯვებული გახდა და დაიკავა 1 ადგილი.დინამოს სკოლამ ამ ფესტივალისათვის 10 ბურთი ჩანთა სიგელები მეკარის სავარჯიშო ფორმა და სხვადასხვა სამახსოვრო პრიზები გვისაჩუქრა,

ამ ეტაპზე ყველა ასაკობრივ ჯგუფში დასრულებულია საწვრთნელი პროცესები..

2023 წლის ნოემბრის ბოლოს ამბროლაურში რაჭა-ლეჩხუმ ქვემოს სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის ორგანიზებით დაიგეგმა მწვრთნელთა ლიცენზირება, აღნიშნულ პროექტში მონაწილეობდა ჩვენი 2 მწვრთნელი და 2023 წლის ბოლოს უკვე კლუბში ყველა მწვრთნელი

ლიცენზირებულია. 2023 წლის ბოლოს კლუბმა შეიძინა სხვადასხვა სახის მასალები რომელიც რომლითაც იგეგმება უსაფრთხოების თვალსაზრისით პროჟექტორების შემოღობვა და შენობის ფოიეში ტიხარის გაკეთება სადაც განთავსდება კლუბის ოფისი.

საფეხბურთო კლუბი ,,რაჭა"2023 წელს ყოველთვიურად სისტემატიურად აწარმოებდა მიმდინარე საფინანსო ანგარიშსწორებების აღებული ვალდებულებების მიედვით.

კლუბ,,რაჭას"დირექტორი: / ლაშა მეტონიძე/

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი საფეხბურთო კლუბი ,,რაჭა" 2023წლის დამტკიცებული ბიუჯეტი

დანართი N 1

| ა(ა)ი.პ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ,,რაჭა" | | | | | 2023 წლის გეგმა | | | 2023 წლის გეგმის შესრულება | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | | | ადგილობრივი ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | ადგილობრივი ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები სულ | | | | | 216,350 | 206,400 | 9,950 | 212,860 | 205,460 | 7,400 |
| ადგილობრივი ბიუჯეტიდან მისაღები სახსრები (სუბსიდია) | | | | | 0,000 | | | 0,000 | | |
| სხვადასხვა დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები | | | | | 0,000 | 0,000 | | 0,000 | 0,000 | |
| სხვა შემოსავლები (საკუთარი შემოსავლები) | | | | | 9,950 | 0,000 | 9,950 | 7.400 | 0,000 | 7.400 |
| საკუთარი შემოსავლების ნაშთის ცვლილება | | | | | 0,000 | 0,000 | | 0,000 | 0,000 | |
| გადასახდელები | | | | | 206,400 | 206,400 | | 205,460 | 205,460 | |
| სახაზინო კოდი | | | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 27. | | | 27. | | |
| 2 | | | | ხარჯები | 211,3 | 203,900 | 7,400 | 210,86 | 203,460 | 7,400 |
| 2 | 1 | | | შრომის ანაზღაურება | 152,760 | 152,760 | | 152,460 | 152,460 | |
| 2 | 1 | 1 | | ხელფასი | 152,760 | 152,760 | | 152,460 | 152,460 | |
| 2 | 1 | 1 | 1 | ხელფასები ფულადი ფორმით | 152,760 | 152,760 | | 152,460 | 152,460 | |
| 2 | 2 | | | საქონელი და მომსახურება | 58,540 | 51,140 | 7,400 | 58,400 | 51,000 | 7,400 |
| 2 | 2 | 1 | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 0,000 | 0,000 | | 0,000 | 0,000 | |
| 2 | 2 | 2 | | მივლინებები | 2,500 | 2,500 | | 3,060 | 3,060 | |
| 2 | 2 | 2 | 1 | მივლინება ქვეყნის შიგნით | 2,500 | 2,500 | | 3,060 | 3,060 | |
| 2 | 2 | 2 | 2 | მივლინება ქვეყნის გარეთ | 0,000 | 0,000 | | 0,000 | 0,000 | |
| 2 | 2 | 3 | | ოფისის ხარჯები | 9,080 | 9,080 | | 9,080 | 9,080 | |
| 2 | 2 | 3 | 1 | საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა | 0,270 | 0,270 | | 0,270 | 0,270 | |
| 2 | 2 | 3 | 2 | კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი | 0,000 | 0,000 | | 0,000 | 0,000 | |
| 2 | 2 | 3 | 3 | ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არამირითადი საქმიანობის) ხარჯები | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 2 | 3 | 4 | მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი | 0,500 | 0,500 | | 0,500 | 0,500 | |
| 2 | 2 | 3 | 5 | საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი | 0,100 | 0,100 | | 0,100 | 0,100 | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 2 | 3 | 6 | ოფისისათვის სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების შეძენის ხარჯი | 0,150 | 0,150 | | 0,150 | 0,150 | |
| 2 | 2 | 3 | 7 | რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი | 0,400 | 0,400 | | 0,400 | 0,400 | |
| 2 | 2 | 3 | 8 | შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯი | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 2 | 3 | 9 | საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 2 | 3 | 10 | კავშირგაბმულობის ხარჯი | 1,500 | 1,500 | | 1,500 | 1,500 | |
| 2 | 2 | 3 | 11 | საფოსტო მომსახურების ხარჯი | 0,060 | 0,060 | | 0,060 | 0,060 | |
| 2 | 2 | 3 | 12 | კომუნალური ხარჯი | 6,000 | 6,000 | | 6,000 | 6,000 | |
| 2 | 2 | 3 | 14 | ოფისის ხარჯი რომელიც არ არის კლასიფიცირებული | 0,100 | 0,100 | | 0,100 | 0,100 | |
| 2 | 2 | 4 | | წარმომადგენლობითი ხარჯები | 0,400 | 0,400 | | 0,400 | 0,400 | |
| 2 | 2 | 5 | | კვების ხარჯები | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 2 | 6 | | სამედიცინო ხარჯები | 0,500 | 0,500 | | 0,300 | 0,300 | |
| 2 | 2 | 7 | | რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები | 4,750 | 0,000 | 4,750 | 4,750 | 0,000 | 4,750 |
| 2 | 2 | 8 | | ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | 8,700 | 8,700 | | 8,200 | 8,200 | |
| 2 | 2 | 8 | 1 | საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი | 4,500 | 4,500 | | 4,000 | 4,000 | |
| 2 | 2 | 8 | 2 | მიმდინარე რემონტის ხარჯი | 2,000 | 2,000 | | 2,000 | 2,000 | |
| 2 | 2 | 8 | 3 | ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი | 2,000 | 2,000 | | 2,000 | 2,000 | |
| 2 | 2 | 8 | 4 | ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი | 0,000 | 0,000 | | 0,000 | 0,000 | |
| 2 | 2 | 8 | 5 | მცირეფასიანი ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენა შენახვის ხარჯი | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 2 | 8 | 6 | ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის არაკლასიფიცირებული ხარჯები | 0,200 | 0,200 | | 0,200 | 0,200 | |
| 2 | 2 | 10 | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 32,560 | 29,960 | 2,600 | 32,610 | 29,960 | 2,650 |
| 2 | 2 | 10 | 1 | ბანკის მომსახურების ხარჯი | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 2 | 10 | 3 | ექსპერტიზის და შემოწმების ხარჯი | 0,000 | 0,000 | | 0,000 | 0,000 | |
| 2 | 2 | 10 | 4 | კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი | 2,400 | | 2,400 | 2,400 | | 2,400 |
| 2 | 2 | 10 | 5 | რეკლამის ხარჯი | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 2 | 10 | 6 | სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 2 | 10 | 7 | საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯი | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 2 | 10 | 8 | აუდიტორული მომსახურების ხარჯი | 0,250 | | 0,250 | 0,250 | | 0,250 |
| 2 | 2 | 10 | 9 | საარქივო მომსახურების ხარჯი | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 2 | 10 | 10 | შენობა-ნაგებობის დაცვის ხარჯი | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 2 | 10 | 11 | ბინის ქირა | 0,000 | | | 0,000 | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 2 | 10 | 12 | კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო, საგამოფენო ღონისძიებების და მაუწყებლობის ხარჯები | 17,600 | 17,600 | | 17,600 | 17,600 | |
| 2 | 2 | 10 | 14 | სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი | 14,910 | 12,360 | 2,550 | 12,360 | 12,360 | |
| 2 | 3 | | | ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 4 | | | პროცენტი | 0,000 | 0,000 | | 0,000 | 0,000 | |
| 2 | 4 | 1 | | საგარეო ვალდებულებებზე | 0,000 | 0,000 | | 0,000 | 0,000 | |
| 2 | 4 | 1 | 1 | ორმხრივ კრედიტორებზე | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 4 | 1 | 2 | მრავალმხრივ კრედიტორებზე | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 4 | 1 | 3 | კომერციულ ორგანიზაციებზე | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 4 | 1 | 4 | სხვა საგარეო ვალდებულებებზე | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 4 | 2 | | საშინაო ერთეულებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 4 | 3 | | სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 5 | | | სუბსიდიები | 0,000 | 0,000 | | 0,000 | 0,000 | |
| 2 | 6 | | | გრანტები | 0,000 | 0,000 | | 0,000 | 0,000 | |
| 2 | 6 | 1 | | გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს | 0,000 | 0,000 | | 0,000 | 0,000 | |
| 2 | 6 | 1 | 1 | მიმდინარე | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 6 | 1 | 2 | კაპიტალური | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 6 | 2 | | გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს | 0,000 | 0,000 | | 0,000 | 0,000 | |
| 2 | 6 | 2 | 1 | მიმდინარე | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 6 | 2 | 2 | კაპიტალური | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 6 | 3 | | გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს | 0,000 | 0,000 | | 0,000 | 0,000 | |
| 2 | 6 | 3 | 1 | მიმდინარე | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 6 | 3 | 2 | კაპიტალური | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 7 | | | სოციალური უზრუნველყოფა | 0,000 | 0,000 | | 0,000 | 0,000 | |
| 2 | 7 | 1 | | სოციალური დაზღვევა | 0,000 | 0,000 | | 0,000 | 0,000 | |
| 2 | 7 | 1 | 1 | ფულადი ფორმით | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 7 | 1 | 2 | ნასაქონლო ფორმით | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 7 | 2 | | სოციალური დახმარება | 0,000 | 0,000 | | 0,000 | 0,000 | |
| 2 | 7 | 2 | 1 | ფულადი ფორმით | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 7 | 2 | 2 | ნასაქონლო ფორმით | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 7 | 3 | | დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება | 0,000 | 0,000 | | 0,000 | 0,000 | |
| 2 | 7 | 3 | 1 | ფულადი ფორმით | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 2 | 3 | 2 | ნასაქონლო ფორმით | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 8 | | | სხვა ხარჯები | 0,000 | 0,000 | | 0,000 | 0,000 | |
| 2 | 8 | 1 | 1 | ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა | 0,000 | | | 0,000 | | |
| 2 | 8 | 2 | | სხვადასხვა ხარჯები | 0,000 | 0,000 | | 0,000 | 0,000 | |
| 2 | 8 | 2 | 1 | სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები | 0,000 | 0,000 | | 0,000 | 0,000 | |
| 2 | 8 | 2 | 2 | სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები | 0,000 | | | 0,000 | | |
| 3 | 1 | | | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **2,500** | **2,500** | | **2,000** | **2,000** | |

კლუბ ,,რაჭას“ დირექტორი: / ლაშა მეტონიძე/